წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 6 აპრილი 1916 წ. № 77

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", Поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელ [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. ბაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. საქართველო წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი.

ვაგზლის სამკურნალოში
(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.
(თ.—126—)

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი"
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ყოველკვირეული ჟურნალი
„სკოლა და ოჯახი"
სამი აპრილიდან გამოვა ქუთაისში შემდეგის პროგრამით: პედაგოგიკა, ოჯახური აღზრდა, ჰიგიენა, განათლება სკოლის გარეშე, ჩვენი სკოლა, უცხოეთის სკოლა, სახალხო მასწავლებელთა შორის, პროზა და პოეზია, ჩვენი მხარე, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, კითხვა-პასუხი, მოღვაწეთა სურათები და განცხადებანი. ჟურნალში თანამშრომლობა აღგვითქვეს ჩვენმა ცნობილმა პედაგოგებმა და ლიტერატორებმა. ჟურნალი ეღირება ამა წლის დამლევამდი ოთხი მანეთი, ცალკე ნომერი ორი შაური. ფული და წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: ქუთაისი, ხაზინის წინ, ქალაქის მესამე სკოლა (ჟურნალისათვის). აქვე შეიძლება რედაქტორის ნახვა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა პირველ საათამდი. უმარკო წერილებს ვერ მივიღებთ.
რედაქტორ-გამომცემელი ვლ. ნაცვლიშვილი.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი აბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5— საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

ექიმი გ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ რაზიეზდის ქუჩა, № 19.
20—67—15

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

**პეტროგრადი.** 4 აპრ. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი:** გერმანელებმა ზარბაზნები დაუშინეს მდინარე დვინის ხაზით იკსკიულის სიმაგრეებს და გორბუნოვკის სამხრეთით დვინსკის მიდამოებს. დვინსკის ასპარეზის სამხრეთით საარტილერიო ბრძოლაა, განსაკუთრებით მიაძოლის და ნაროჩის ტბებ შუა. მტრის ჰაეროპლანებიც მოქმედობდნენ. გალიციაში, ზემო სტრიპას მიდამოებში, მტერი რამდენჯერმე მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა სიურ-მელე აილო და სოფელ არსემ-კელესს მიუახლოვდა, [illegible] ვერსზე მდებარეობს. ზემო ჭოროხის ხეობაში ბრძოლა ჩვენს სასარგებლოდ ვითარდება.

—

**პარიზი.** 3 აპრ. ოფიციალი. დღის ცნობა. მთელი ღამის განმავლობაში მდ. მაასის მარცხენა მხარეზე ავოკურკორეტის ტყის ხაზით ზარბაზნის სროლა იყო. მდინარის მარცხენა ნაპირზე მედგარი იერიში მივიტანეთ გერმანელებზე დომონიდან სამხრეთ ასპარეზზე, აქ მტრის თხრილები ჩავიგდეთ ხელში, 200 ჯარისკაცი და 2 აფიცერი ტყვედ წავიყვანეთ. ვევრში დრო გამოშვებით ჩვენი ბრძოლის პირველ ხაზს ზარბაზანს უშენენ. სხვა ადგილებში სიმშვიდეა.

**პარიზი,** 3 აპრილი. ოფიციალი. საღამოს ცნობა. მდ. მაასის მარცხენა ნაპირას მტერმა გაცხარებული ცეცხლი დაუშინა ავოკურის ტყეს, „304" სიმაღლეს, და ვევრის მიდამოებში მულევილ, ოდიომონ და ეპარჟის მიდამოებს. სხვაგან სიმშვიდეა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ვერდენთან ბრძოლა.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: გერმანელებმა კვლავ განაახლეს ვერდენზე იერიშები. მათ ვერდენთან 39 დივიზიას და მრავალ არტილერიას მოუყარეს თავი და გადაწყვეტილი აქვთ რათაც უნდა დაუჯდეთ გაარღვიონ ფრანგთა ბრძოლის ხაზი. ვერდენის ბრძოლას მთელი გერმანეთი გულის ფანცქალით უცქერის და დარწმუნებულია, თუ ვერდენთან ბრძოლა წააგო, გერმანეთის საქმე ცუდად წავა. გერმანელი სამხედრო მიმომხილველნი დიდ სიფრთხილეს იჩენენ და საზოგადოებას ურჩევენ, არ გააზვიადოს ავოკურმორტჰომ-კიუმერთან უბრალო გამარჯვება, რადგანაც ეს გამარჯვება ძვირად დაუჯდათ. მორტჰომი ციცაბო კლდეა, რომელზედაც გერმანელები უშედეგოდ ეხეთქებიან. ფრანგებს მის მაღლობი უჭირავს, გერმანელებს კი დაბლობი. გერმანელთ სიმაღლის წვერზე მიტანილი იერიშები სარგებლობას არ აძლევს. გაზეთი „Hamburger Fremdeblatt" აღნიშნავს: გენ. პეტენის ტაქტიკა გერმანეთს ცუდ მდგომარეობაში აყენებს. პეტენი ერთი ბრძოლის ხაზიდან მეორეზე გადადის, მაგრამ გერმანელთ დიდ ზარალს აყენებს.

### საფრანგეთის გარდაწყვეტილება.

სოციალისტურ პარტიის ეროვნულმა საბჭომ დადგენილება მიიღო, სახელმწიფოს დაცვა განაგრძოს და საფრანგეთის მთლიანობა უზრუნველ ჰყოს, აღადგინოს ბელგეთი და სერბეთი. საბჭომ გადასწყვიტა ციმერვალდის კონფერენციასთან მოლაპარაკება იქონიოს და უკმაყოფილებას აცხადებს სოციალისტურ ბიუროს სხვა ადგილში გადატანაზე.

### რუსეთის ასპარეზი.

„Morning Post" 30 მარტს სწერს: გერმანეთმა ვერ დაამარცხა [illegible] ჰქონდა რუსეთისაკენ ექნა პირი. აქ მტერმა დაჰკარგა საუკეთესო ჯარი. ბელგეთის საზღვრებიდან რუსეთისაკენ მაშველი ჯარი იგზავნება, რომელთა ადგილს ახლად გაწვეული ჯარისკაცები იჭერენ. რუსებმა დაასწრეს მტერს და შეუტიეს, ისე რომ გერმანეთს მათი შეჩერება სჭირდება. რუსეთის წინ წაწევა რიგის მიდამოებში პოსტავამდე მიდის, ისე რომ მტერი ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა და საკმაო ჯარიც აამოქმედა, რათა დაიცვას ნაროჩის ტბის დასავლეთით მდებარე სიმაგრეები.

### ასკვიტის სიტყვა.

ლონდონიდან იტყობინებიან: ინგლისის პრემიერის ასკვიტის სიტყვამ, ფრანგთა პარლამენტარიერების ბანკეტზე წარმოთქმულმა, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ასკვიტის სიტყვამ, რომელიც თავის დროზე წარმოთქმული იყო გილდგოლაში გერმანეთის სამხედრო ბატონობის წინააღმდეგ, სხვა და სხვა აზრი გამოიწვია. გერმანეთის კანცლერმა განზრახ შესცვალა აზრი ასკვიტის სიტყვისა, ზოგს კი გულწრფელად სწამდა, რომ ასკვიტის სურვილი იყო, მოესპო მისი ფლოტი, გერმანეთის პოლიტიკური გავლენა სხვა სახელმწიფოებზე მოესპო და ბოლოს, გერმანეთისათვის ისეთი პოლიტიკური წესწყობილება შეექმნათ, რომ მას სამხედრო ძალა არ გაეძლიერებინა. ასკვიტის ახალმა სიტყვამ ბურუსი გაჰფანტა და ყველაფერი ცხად ჰყო. ასკვიტის სიტყვიდან სჩანს, მოკავშირეთა მიზანია გერმანეთის შინაური წესწყობილება არ კი შესცვალოს, არამედ ისეთი პირობები დაამკვიდროს, რომ მთელი ქვეყანა უზრუნველ ჰყოს, უფრო კი მახლობელი მეზობლები დაიცვას.

### პრესის აზრი.

„Daily Nevs" სწერს: ასკვიტმა დაგვანახვა, გერმანეთის ხმალი შიშს არ უნდა ჰგვრიდეს ევროპას; ამასთანავე იგი გაარჩევს პრუსიის სულს გერმანეთისაგან. ომი არ შეიძლება შესწყდეს, ვიდრე ევროპის თავისუფლება და პატარა ერების უფლებები უზრუნველ ყოფილი არ იქნებიან „Vestminster Gazett", რომელიც ასკვიტის და ერ-ედუარდ გრეის გაზეთად ითვლება, სწერს: თუ თავის შინაურ ცხოვრებისათვის გერმანელები სასურველად სთვლიან სამხედრო კოდექსს, რომელიც მათ [illegible] მოიხმარეს, ჩვენ ამის წინააღმდეგნი არ ვიქნებით, თუ ეს კოდექსი გერმანეთის მეზობლებს არ ეხება. მაგრამ თუ იგი საერთაშორისო განწყობილებაზედაც გავრცელდება, მაშინ ჩვენ მაყურებლებად ვერ გამოვალთ და მით ევროპის თავისუფლებას არ ულალატებთ. როდესაც გერმანეთის მილიტარიზმზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის, რამაც საერთაშორისო განწყობილება შესცვალა და ქვეყნად გაამეფა შური, იჭვიანობა და დღევანდელ განსაცდელამდე მიგვიყვანა.

### ბალკანეთის მდგომარეობა.

„Rumanie" სწერს: იტალიამ და რუსეთმა მტერს შეუტიეს, ამით გერმანელები აიძულეს მძიმე ზარბაზნები იქვე იზონცოს მიდამოებში დაებრუნებინათ, აღმოსავლეთის [illegible] მოქმედებისათვის მოგერიებითი ხასიათი მიეცათ.

გაზეთი აღნიშნავს, დადგა დრო რუმინეთმა და სერბეთმა ხმა ამოიღონ, თუ მათ არა ჰსურთ თავიანთ საქმესაც და მთელ ქვეყანასაც უღალატონ. ცხადია, ოთხთა კავშირი მარტოდ შესძლებს მტერთან გამკლავებას, მაგრამ რუმინეთის ჩარევა ააჩქარებს შუა სახელმწიფოთა შემუსვრასაც, რითაც რუმინელებს შეუძლიანთ იამაყონ და თავის ეროვნული იდეალები განახორციელონ.

### კლემანსოს გაზეთი.

კლემანსოს გაზეთი „L'Homme Enchaine" იტყობინება: სალანდრას მონაწილეობამ პარიზის კონფერენციაზე ის ნაყოფი გამოიღო, რომ იტალიამ თავისი ძალა არსად უნდა გაჰფანტოს და მხოლოდ ერთ ასპარეზით უნდა იმოქმედოს ავსტრიელთა წინააღმდეგ.

### საბერძნეთი.

ათინიდან იტყობინებიან: მოკავშირეების წინააღმდეგ [illegible] გოლტოლის ყურესა და კეთალონიის კუნძულისსანაპიროებთან ნაღმები ჩააწყეს. ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ეს ამბავი საბერძნეთის მთავრობას აცნობეს. საბერძნეთმა გულის წყრომა გამოსთქვა. ამგვარივე ზომას მიჰმართავენ მოკავშირენი კორფუ-სოლუნის სანაპიროებთანაც.

### საბერძნეთის მდგომარეობა.

ათინიდან იტყობინებიან: საბერძნეთის მთავრობის განწყობილება მოკავშირეებთან ისეთია, რომ მოსალოდნელია სამინისტრო კრიზისი.

### რუმინეთის და შუა სახელმწიფოების დამოკიდებულება.

ბულგარეთიდან მოსული ცნობით, ავსტრია-გერმანეთ-რუმინეთი სურსათის გაზიდვის საქმეში შეთანხმდნენ. გერმანეთმა რუმინეთში გაგზავნა 40 ფუთი ოქრო 4 მილიონ 700,000 მარკა, ხარჯების დასაფარავად.

### გერმანეთ-რუმინეთის შეთანხმება.

ოფიციალი გაზეთი „ვიტორული", გერმანეთ-რუმინეთის შესახებ, ამბობს: გერმანეთ-რუმინეთის შორის სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო, რათა თავიდან აიშორონ დაბრკოლებანი, რომელიც ევროპის ომმა გამოიწვია. შეთანხმების ძალით ორივ სახელმწიფო როგორც საკუთარს საქონელს, ისე უცხოეთისასაც ერთმანეთს მიაწვდის. ამის განსახორციელებლად ბერლინში და ბუქარესტში ორგანიზაციები დაარსდა, რათა საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმე გაადვილდეს. საქონლის გაცვლა 1 მაისს (ახ. სტილ.) დაიწყება. საომარი მასალა ამ ხელშეკრულებაში მოხსენებული არ არის.

### ჰოლანდია.

„Jtockholms Ti'dninqen"-ს პარიზიდან ატყობინებენ: ცნობა, ვითომც ინგლისის ჯარს ჰოლანდიაში უნდოდეს ჯარის გადაყვანა, როგორც გამოირკვა, გერმანეთიდან ყოფილა გაგზავნილი. ყველა მინისტრებს და სამხედრო პირებს ეს ამბავი მაშინვე აცნობეს. პარიზში ხმა გავრცელდა, ვითომც დეპეშა ვილჰელმს გაეგზავნოს.

### პორტუგალია.

ლისაბონიდან იტყობინებიან: პორტუგალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პრეზიდენტს კაბინეტის გადადგომის სურვილი განუცხადა.

### ვერდენში.

„Wew-Verk-World" თანამშრომელი ლინგოლნ აირი ასე ასწერს ვერდენს: ამ დღეებში ვერდენს ვესტუმრე. მაასის მარჯვენა ნაპირის ასპარეზზე ვიყავ. თუმცა ამ ბოლო ხანს ვერდენს ნაკლებად უშენენ ზარბაზნებს, მაგრამ დღე-ღამეში ორთაშუა რიცხვით 400-500 დიდი ყალიბის ყუმბარა მაინც ეცემა ვერდენში. ყუმბარები 150 და 380 მილიმეტრის ყალიბისაა. ყუმბარები გატენილია ნავთით და სხვა ცეცხლის გამჩენ ნივთიერებით. ვერდენი უფრო ნაკლებ არის დაზიანებული ვიდრე რეიმსი. ფრანგები მარჯვეთ ჩააქრობენ ხოლმე ამა თუ იმ უბანში გაჩენილ ცეცხლს. ჩემის აზრით, გერმანელები ვერ მოახერხებენ ვერდენის გადაბუგვას და ვერც კრონპრინცის ჯარი ეღირსება ვერდენში შესვლას.

## უკანასკნელი ფოსტა

### მაკენზენი და ენვერ-ფაშა.

ჰუნგრეთის გაზეთების სიტყვით, მაკენზენი და ენვერ-ფაშა ამ ჟამად სტამბოლში იმყოფებიან.

### ოსმალეთი.

გერმანეთს ოსმალეთისთვის 500 მილიონი ფრანკი უსესხებია. ამ ფულიდან ოსმალეთმა 150 მილიონი რუმინეთს უნდა მისცეს ფქვილისა და ნავთისათვის, 331 მილიონი კი ოსმალეთს თავდაცვის საქმისათვის ექნება. დანარჩენი ფული მოხმარდება ბაღდადანატოლიის რკინის გზის გაყვანა-შენახვას. ამ ვალის გადახდა ამ წლის 13 ქრისტეშობისთვემდე ადროვეს.

### რუმინეთი.

„Universul"-ი იტყობინება: კონსტანცის [illegible] დაუყოვნებლივ [illegible] დაბრუნდნენ.

### ალბანეთში.

„ფოსიშე ცაიტუნგ"-ი სწერს: ავსტრიელებმა ალბანეთში დაატუსაღეს ესად-ფაშას მეუღლე და ასული.

### ფინლანდია.

ამ ბოლო დროს ფინლანდიაში ცხენების სყიდვა გაძლიერდა. ცხენები ტორნეოდან შვეციაში გაჰყავთ. საშუალო ფასი თითო ცხენზე 500 მარკაა (225 მან.).

## ბრძოლის ველზე

### კავკასიის ასპარეზზე.

ტრაპიზონის მიმართულებით რუსთა მხედრობამ წინსვლა განაგრძო. ხმელეთის ჯარს, როგორც შტაბი იუწყება, ფლოტიც უწევდა დახმარებას. გზა საშინელებისა და განცდისა, თქმა არ უნდა, მხედრობას მთლად არ გაუვლია. ტრაპიზონი, როგორც ვიცით, კარია ანატოლიის მთა-გორაკთა დასაპყრობად. თუ კი ოსმალეთი მას დაჰკარგავს, მაშინ სეპარატიული ზავიც მოახლოვებული უნდა იყოს ოსმალთა მხრით და აი რატომ: ოსმალთა ძლიერების ცენტრი, თქმა არ უნდა, აზიის სამფლობელოშია. სივრცით ეს ევროპის ოსმალეთზე თერთმეტჯერ მეტია, ხოლო მცხოვრებთა მხრივ ოთხჯერ მეტი. მაშასადამე, ცოცხალი ძალა ოსმალთა კორპუსების შესავსებად აქედან უნდა მოიკრიბოს ხოლმე. თუ რომ ოსმალნი ამ ცოცხალ ძალის მასაზრდოებელ ადგილებს დაჰკარგავენ, თქმა არ უნდა, მათს გაბრძოლებასაც საზღვარი დაედება. ამას ჰგრძნობენ ოსმალნი და ამიტომაც აზრუმის დაცემის უმალ ყოველი კარი გაამაგრეს, უმთავრესად კი ანატოლიაში შესავალი ბჭე ტრაპიზონი, საიდანაც ჯერ კიდევ დამარცხების პირველ პერიოდებში დაიწყეს შემოტევა და საგრძნობლად შეაჩერეს რუსთა წინ სვლა.

შტაბის მოხსენებაში ხშირად შევხვდებით ასეთს ცნობათა ნიმუშებს: „ქურთები დაგვესხნენ... ამდენი და ამდენი ტყვე წამოვიყვანეთ..." ყველა ეს ცნობები განსამარტებელია და აი რას ნიშნავს: ცხადია, ოსმალთა რე-

გულიარ ჯარებიდან რუსთა მხედრობას მართლა რომ ამდენი ტყვეები წამოეყვანა, ოსმალებს აღარ ეყოლებოდათ რეგულიარი ჯარი. საქმეც ის არის, რომ რუსებს წინსვლაში მეტ წილად, ასე რომ ვსთქვათ, „ხალხურ“ ბრძოლასთანა აქვთ საქმე, სწორედ ისეთ ბრძოლასთან, რომლის საილუსტრაციოდ თუნდა რუსი გლეხკაცთა თავდასხმას დავასახელებ კორსიკელ ყაჩაღ დიდ ნაპოლეონის შემოსევის დროს რუსეთში. აქაც, ამ მთაგორაკებში, სადაც სწორე გზების მეტის მეტი სიმწირეა, ადგილობრივი მცხოვრებნი სარგებლობენ პარტიზანულ ომის გასაჩაღებლად. აი, ამიტომაა, რომ მათი ასობით და ხშირად ათასობით დალალვა არ ჰგულისხმობს [illegible]ლმე ოსმალთა კორპუსების განადგურებას, რის გამოც სრულიად მოულოდნელად ამბები მოდის მთავარ შტაბიდან აქა და აქ ასეთი დიადი ომი გადავიხადეთ, რეგულიარ ჯართა გატეხვა და უკუქცევა მოვახერხეთო. მაშასადამე, იუდენიჩის ლაშქრის მარცხენა ფრთა თუ კი ტრაპიზონისკენ სტრატეგიულ იერიშებით ელვისებურ სისწრაფით არ გაემართა, ამისი მიზეზი გახლავთ უგზოობასთან ერთად თვით ხალხის თავგანწირულება და მეორეც, რეგულიარ ჯართა გამოჩენა, რომელსაც სრულიად სამართლიანად შეუგნია დიადი მნიშვნელობა ტრაპიზონისა, როგორც ანატოლიაში მთავარ შესასვლელ კარებისა.

თავის თავად იბადება საკითხი, რატომ ხდება, რომ რუსები ამდენ სიძნელეს ჰლახვენ და ოსმალთა თავზე იმარჯვებენ, როდესაც ვხედავთ, რომ ამ უკანასკნელთ კარგი პოზიციებიც უჭერიათ და იარაღიც საუკეთესო მოუტანიათ გერმანეთიდან. პასუხი მარტივია: კულტურა უწინარეს ყოვლისა; მეორე, ფატალიზმი ერთის მხრით და მეორეს მხრით კი ინდიფერენტიზმი და მეცნიერული მეთოდი. მაგრამ ესეც რომ არ მივიღოთ მხედველობაში, არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ოსმალნი წესიერად ვერ სარგებლობენ თავიანთი ჯარებით და, ასე ვსთქვათ, ყოველთვის „იგვიანებენ“. ეს დაგვიანება აიხსნება მათი ძალთა დანაწილებით, რაც უნდა იყოს, დარდანელს იქით მათ ბევრი სხვა დარდანელიცა აქვს, სადაც მოკავშირეთ შეუძლიანთ შემოჭრა: ვთქვათ, სმირნა. მათი ყურადღება მიპყრობილია ბალკანეთზე, მათვე ვხედავთ მესოპოტამიაში, სპარსეთში და... აქ, კავკა-[illegible] ოსმალნი არც ისე ადვილად მოახერხებენ, როგორც ეს ჰგონიათ ბევრს, რუსთა მხედრობასთან პირველად მათ უხდებათ ბრძოლა, ვინც მოასწრობს ხოლმე. თქმა არ უნდა, რუსთა შეჯგუფული ძალები ადვილად დაამარცხებენ მათ, ვიდრე რიგი ახლა მეორედ მოსულ ჯარებზე არ მიდგება.

ნათქვამიდან მკითხველმა ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს, ვითომც ყოველისფერი მორჩომილია. არა, ეს მეტის მეტი გულუბრყვილობა და თავის მოტყუება იქნება და მეტი არაფერი ვიდრე მთავარი შტაბი სრულს ცნობებს არ გადმოგვცემს პუნქტუალობით არ გვაცოდინებს (დაახლოვებით მაინც) თუ სად რა მოხდა, რა ძალებთან ჰქონდათ საქმე, იყო ეს ბრბო, რეგულიარი ჯარები, ამ ჯართა რაოდენობა, მათი იარაღი, ან და თვით ბრძოლის ხასიათი, დემონსტრაცია იყო იგი, თუ მართლა შემოტევა, ჩვენ ნაადრევად მიგვაჩნია იმ ხმების დადასტურება, ვითომც ოსმალეთი ცალკე სეპარატიულ ზავს ითხოვსო, რაც ოსმალთა მთავარი შტაბის მიერ ბოლოს დროს კატეგორიულად უარყოფილ იქმნა. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ თვით დიდ ციხეთა დაცემა, როგორიც არის აზრუმი, კიდევ ბედს არა სწყვეტს ოსმალეთისას, როგორც სტრატეგიული თვალსაზრისით რუსეთის ბედი არ გარდაწყვეტილა ისეთ სახელოვან ციხეთა დაკარგვით, როგორიც იყო ნოვოგიორგევსკი, კოვნო და სხ. ამის საილუსტრაციოდ კმარა თუნდა ის გარემოება, რომ ოსმალთ ფართო ძალის გამოჩენა დაუწყვიათ თითქმის ყველა მიმართულებით, საითაც კი მათს ჯარებს მოუხდათ აზრუმის დაცემის შემდეგ უკან დახევა.

უკანასკნელი ქალაქი, რომელიც ხელთ იგდეს რუსებმა, არსენ ქელესი, აზრუმიდან 18 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

### ვერდენის გარშემო.

ვერდენის ოპერაცია შედარებით წყნარად მიმდინარეობს, თუმც ეს სიწყნარე არც თვით ფრანგებს სჯერათ, რომ ხანგრძლივი იყოს. საარტილერიო სროლა კი გამუდმებითაა, განსაკუთრებით ავოკურის სექტორში, კორეტის ტყეში, ყველა ეს ხდება მაასის დასავლეთით. ნიშანში იგივე „304“ მაღლობია ამოღებული. რაც შეეხება მაასის მარჯვენა ნაპირს, აქაც სროლაა როგორც დიუმონის რაიონში, ისე ვევრში მულენვილისა, ოდიომონისა და ეპარჟის მიმართულებით. თვით დუომონის მხრით ფრანგებმა იერიშები მიიტანეს. გაბედულმა მხედრობამ ნაწილი თხრილებისა დაიბრუნა და 200 კაციც წამოიყვანეს ტყვედ. გენერალმა პეტენმა, ვერდენის ციხის დამცველმა, ეს გამარჯვება დიდის ამბით აუწყა მხედრობას და დააიმედა, ასე რი მტრის დამარცხებასაო.

X.

P. S. გუშინ ნაშუადღევს ცნობა მოვიდა, რომ რუსის ჯარმა ტრაპიზონი აიღო.

---

## თბილისი, [illegible] აპრილი.

**სოფლის მეურნეთა ცენტრალი ორგანო**

საქართველოს სოფელმა მრავალი მიზეზის ზედგავლენით შეიგნო ეკონომიური თვითმოქმედების დიდი მნიშვნელობა და ხელი მიჰყო სამეურნეო ორგანიზაციას. საყურადღებო ისაა რომ ეს მიდრეკილება ყოველგან, თავისთავად, დამოუკიდებლად დაბადა. ეს მოვლენა სრულიად ახალ ხანას აღნიშნავს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. საკმარისია უბრალო შედარება ამ უკანასკნელი სამი ოთხი წლისა წინანდელ წლებთან რომ დარწმუნდეთ ამ მოვლენის სინამდვილეში. აქამდისინ თუ ქართველი ხალხი თავის ენერგიას აქვეყნო ჭეშმარიტებად მიჩნეულ მზეპირებული დოგმების განმეორებას ანდომებდა, დღეს ეს ენერგია ცოცხალ საქმეს მიუძღვნა, ნივთიერ სიმდიდრის შესაქმნელად აამუშავა. მკაფიოდ გამოთქმული ხასიათი მიიღო ქართველობის მისწრაფებამ სავაჭრო და სამრეწველო საქმეებისადმი. წვრილ ვაჭართა რიცხვი იზრდება, თან და თან მსხვილებიც ჩნდებიან. ამ მოვაჭრე და სამრეწველე ქართველობამ შეიგნო ბანკების დიდი მნიშვნელობა და კიდეც საქმეს შეუდგა.

მკაფიოდ გამოითქვა აგრეთვე სოფლის მეურნეთა კოლექტიური მისწრაფება კავშირისაკენ, ორგანიზაციისაკენ. თან და თან მრავლდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა რიცხვი. უკვე არსებული საზოგადოებები აფართოვებენ თავიანთ მოქმედების ფარგალს. 25 მარტს გორში მოხდა დიდი ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ გორის მაზრის დიდძალი მეურნე და საფუძველი ჩაუყარეს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. 3 აპრილს ამგვარივე ყრილობა გაიმართა ოზურგეთში, სადაც თავი მოიყარეს დიდძალმა ინტელიგენციამ და მთელი გურიის მეურნეებმა. აქაც დაარსდა სამეურნეო საზოგადოება. საყურადღებოა ის გარემოება რომ, როგორც გორში, ისე ოზურგეთში, დამფუძნებელმა კრებამ მტკიცე სურვილი გამოსთქვა საქართველოს მეურნეთა საერთო ყრილობის მოწვევის თაობაზე.

დიდი ხანია, რაც ჩვენი გაზეთი ამ აზრს ავრცელებს. დღევანდელს პირობებში მის განხორციელებას დაუფასებელი მნიშვნელობა ექნება. მთელი საქართველო ერთნაირად ჩამორჩენი[illegible] ყოველგან თანაბრად ინტენსიურია. ერთი ცენტრალი სამეურნეო ორგანოს შექმნა, რომელიც საქართველოს მეურნეობის მოგვარება-მოწყობას გაუძღვებოდეს, პირდაპირ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამ გვარი ორგანო ყოველგან ილაპარაკებს მთელი მეურნე საქართველოს სახელით და მის ფირმასაც ნდობაც კარგი ექნება. ამ გვარი ორგანოს სახით ჩვენ მეურნეობას პატრონი და ხელმძღვანელი გაუჩნდება. სოფლის მეურნეობის დაქსაქსული, ანარქიული და უძლური წარმოება სისტემატიურ ორგანიზაციულ ხასიათს მიიღებს და გაძლიერდება. უსათუოდ საჭიროა საქართველოს სხვა კუთხეებმა ეს გაითვალისწინონ და მხარი დაუჭირონ ვინც ამ საქმის მოთავეედ გამოვა.

---

## ქართული პრესა

გაზ. „სამშობლო“ მოგვითხრობს იმ არჩევნების ამბებს, სადაც არჩეულ იქმნენ წარმომადგენელნი ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირში გასაგზავნად. გაზეთი სწერს:

„უაღრესს უსამართლობად უნდა ჩაითვალოს ის განგაში, რომელიც ასტეხეს ფეხ-მოკლე და ენა-პტრუელმა ფედერალისტებმა სახალხო უნივერსიტეტის არჩევნების გარშემო.

ჯერ ერთი, ტყუილია, თითქოს სამი ჯგუფი შეთანხმებულიყოს ფედერალისტთა წინაამდეგ და თუ მესამე ჯგუფიდან, ვინც კი დაესწრო კრებას (5—6 კაცი) მიემხრო ფედერალისტთა მოწინააღმდეგეთ, ეს აიხსნება იმით, რომ ყველასთვის აშკარა გახდა, რას წარმოადგენს მათი სოციალიზმი და მათი ფედერალიზმი, ყველას თავი მოაბეზრა მათმა სურვილმა უპარტიო საქმეშიაც კი პარტიობისა და შენ-ჩემობისამ.

სანამ [illegible] უნივერსიტეტში მოხდებოდა არჩევანი, [illegible] ქუთაისში სამმა საზოგადოებამ [illegible] თავისი სამ-სამი წარმომადგენელი კულტურულ კავშირისათვის და 9 კაცში არც ერთი არ არის არა სოც.-ფედერალისტი.

თავისი რომ გაეტანათ, ეს ვაჟბატონები შემდეგ უმგვანო საშუალებასაც კი მიმართავდნენ ხოლმე: „სინათლის“ საზოგადოებაში ამტკიცებდენ წარმომადგენლები კავშირში უსათუოდ გამგეობის წევრები უნდა ავირჩიოთ, მათ უმუშავნიათ და ეხლა სხვისი გაგზავნა მათთვის შეურაცხყოფა იქნებაო, ხოლო ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებაში ისეთი პატივსაცემი ადამიანიც კი გააშავეს, როგორიც არის ეკატერინე ნიკოლაძის ასული და რომელიც დღიდან დაარსებისა დასახელებულ საზოგადოებაში მუშაობს. [illegible] (ეთნოგრაფიულ-ისტორიულ) გამგეობის ერთმა წევრმა, სწორედ არაფედერალისტმა, უარი განაცხადა წარმომადგენლად წასულიყო. აი, აქ მაინც შეიძლებოდა ფედერალისტებს აერჩიათ წარმომადგენელი რომელიმე სხვა ჯგუფიდან, მაგრამ დარაზმულმა ფედერალისტებმა გააშავეს სხვები და გაიყვანეს თავისიანი.

ამის შემდეგ რა პირით და გვიკიჟინებთ ჩვენ: „ჯიუტობას, გულღვარძლიანობას, პარტიულ თავშეუკავლობას და საქმის დამღუპველ ქიშპობას?! აი, ამას ჰქვიან; „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“...

კულტურული კავშირი ფედერალისტთა საერთო კრება ხომ არ არის, რომ ყველა მათი იყოს. როგორც სოციალ-დემოკრატებს, ისე ჩვენ გვსურს ყველამ მიიღოს იქ მონაწილეობა, ეს ჩვენ დავამტკიცეთ. და გაცალეთ, სანამ კი შეიძლებოდა. აწი კი ნურას უკაცრავად! თქვენი წარმომადგენელი 9 არის: ჩვენ რომ სამ-სამი გვეყოლოს, მგონი, ცოდვად არ ჩაგვეთვლება და უსამართლობა არ იქნება თუნდაც „სინათლის“ საზოგადოების წარმომადგენელნი უკანვე დააბრუნონ, არჩევნების უკანონოდ მოხდენის გამო, თქვენ ფედერალისტებს, იმდენი კაცი გეყოლებათ კავშირში, რამდენიც ორს ჯგუფს. საკმაოა. ამის ღირსი არც გავლენით და არც რიცხვით არა ბრძანდებით.

უკანასკნელად უნდა მოგახსენოთ: არაფერი სამარცხვინო არ არის ორი იდეური და პოლიტიკური მოწინააღმდეგე შეერთდეს, რათა უხეშსა და უმართლო ქცევას წინ აღუდგეს. ერთმანეთისთვის არაფერი დაგვითმია; ერთმანეთს არაფერი დავპირებივართ. ჩვენ მხოლოდ ამ ჟამად გვაერთიანებდა სურვილი კულტურულ კავშირში არჩევნების დროს სოციალ-ფედერალისტთა მონოპოლია დაგვემხო. თქვენ ერთა სოლიდარობისათვის მთელ მაზრებს აჩუქებთ მეზობლებს და რამ გაგა[illegible]ათ ისე, რომ ჯგუფთა სოლიდარობისა [illegible] საქმის მოწესრიგებისათვის ერთი ხმა [illegible]შირში შეგშურდათ?

---

## დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

**რიგის მიდამოებში, ბალდანბაუსკიდან დვინისაკენ მიმავალ გზატკეცილებზე, გერმანელები დიდის სიმედგრით იბრძვიან.**

—

**„ბირჟ. ვედომ.“-ს ატყობინებენ: ამ რამდენიმე დღეში მოსალოდნელია ვაშინგტონში მყოფ გერმანეთის დესპანს პასპორტები ჩააბარონ.**

—

**გერმანეთისა და ამერიკის დამოკიდებულება მეტის-მეტად გამწვავდა. მდგომარეობა საგონებელში ჩამგდებია.**

—

**ვერდენის მიდამოებში სიწყნარეა.**

—

**„ნოვ. ვრემ.“-ას ატყობინებენ: ბაღდადში მყოფმა დიდძალმა მაჰმადიანობამ ბრძანება მიიღო ბაღდადიდან გავიდნენ, რადგანაც მოსალოდნელია ბაღდადს ალყა შემოარტყან.**

—

**„ბირჟ. ვედ.“-ს კოპენჰაგენიდან ატყობინებენ: პარიზში მიღებულია ცნობები, რომ, თუმცა ვერდენთან გერმანელები [illegible] თავგანწირვით იბრძვიან, დიდძალი ჯარიც გადაიყვანეს იქით, მაგრამ ფრანგების სტრატეგიული მდგომარეობა მაინც საიმედოაო. ახალი შემოტევის მიზნად, როგორც სჩანს, მორტ-ჰომის სრული დაპყრობა იყო. თუ მორტჰომის სამხრეთი ნაწილი აიღეს, მოსალოდნელია სიმაღლეებისა და სხვა სიმაგრეების აღებაც.**

—

**„ვეჩერ. ვრემ.“-ს პარიზიდან ატყობინებენ: გერმანელებმა სცადეს მორტ-ჰომის აღება, სცადეს აღმოსავლეთის მხრიდან შემოვლით, სადაც მდებარეობს სიმაღლე „295“. მაგრამ ვერაფერი გააწყეს. იმავე დღეს ზარბაზნებს უშენდნენ სიმაღლეს „304“, ენის მიდამოებში.**

—

**ბათომ-ლაზისტანის ეპარქიაში ეპისკოპოსად ინიშნება არქიმანდრიტი ამბროსი.**

ლ. ჯ.

—

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები).

ვერდენის ასპარეზით ფრანგებმა მკაცრი იერიში მიიტანეს გერმანელებზე დუომონიდან დასავლეთით. ფრანგებმა 200 ჯარის კაცი და 2 აფიცერი ტყვედ წამოიყვანეს და მტრის თხრილების ნაწილი დაიპყრეს.

—

გერმანელები ავოკურის ტყეს და „304“ სიმაღლეს ზარბაზნებს უშენენ.

—

რუსეთის ასპარეზზე გერმანელები იკსკიულს ზარბაზნებს უშენენ.

—

ბუქარესტიდან იტყობინებიან: გერმანეთ—რუმინეთის შეთანხმება მოხდა სურსათის და საჭირო საქონლის გასაცვლელად.

—

სტოკჰოლმიდან მოსული ცნობით, გერმანეთ-ავსტრია—რუმინეთის და ნიდერლანდიის შორის ვალიუტის საქმე მოწესრიგდა.

—

გერმანელების წყალქვეშმა სამი გემი დალუპა, ორი ნორვეგიისა, ერთი ინგლისისა.

—

უმაღლესი ბრძანებით 4 აპრილს სახელმწიფო საბჭოს მუშაობა შესწყდა, განახლდება 16 მაისს.

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ბათომის ქალაქის მოურავად კრინიცკი აირჩიეს.**

აბაკელია.

---

## საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მასალები

(გაგრძელება. იხ. „საქრ.“ № 76)

თუ დასავლეთ საქართველოს წარმოებას მივათვლით აღმოსავლეთ წარმოებასაც მაშინ შემდეგი სურათი გადმოიშლება ჩვენ წინ:

| წლები. | სამრეწველო პლანტაციების რიცხვი. | მათი სივრცე დესეტინობით. | მოსავლის რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1904 | 11,403 | 6,076 | 338,612 |
| 1905 | 12,457 | $7,328_{,5}$ | 424,904 |
| 1906 | 8,728 | 4,308 | 242,592 |
| 1907 | 9,146 | $5,316_{,3}$ | 293,641 |

აქ უდიდეს რიცხვი როგორც პლანტაციების სიტყვისა, ისე მათი სივრცისა და მოსავლისა მოდის 1905 წ. 1906 წ. ძალზე დაბალ ციფრების იძლევა, მაგრამ 1907 წ. კი ისევ წარმატება, თუმც ვერც ეს უკანესკნელი აღწევს 1904 წლის რაოდენობას.

რა როლს თამაშობდა მთელი საქართველო თამბაქოს წარმოებაში ამიერ-კავკასიასთან შედარებით? საქართველოს წარმოების პროცენტუალური რაოდენობა უდრიდა:

| | 1904 წ. | 1905 წ. | 1906 წ. | 1906 წ. |
|---|---|---|---|---|
| სამრეწველო პლანტაციების რიცხვისა | $84_{,741}$% | $88_{,119}$% | $71_{,25}$% | $83_{,791}$% |
| მათი სივრცისა | $92_{,196}$% | $93_{,766}$% | $91_{,56}$% | $93_{,23}$% |
| მოსავლის რაოდენობისა. | $90_{,233}$% | $91_{,292}$% | $90_{,47}$% | $90_{,98}$% |

როგორც წინა ციფრების განხილვით უკვე მოსალოდნელი იყო უდიდესი პროცენტიული რაოდენობა მოდის 1907 წ. 1906 წ. ეგ რაოდენობა კლებულობს, 1907 წ. კი ისევ მატულობს. ამ თავისთავათ ითქმის უმნიშვნელო ცვალებადობის და მიუხედავათ საქართველოს მაინც ამიერ-კავკასიაში უპირველესი ადგილი უნდა დაეთმოს თამბაქოს წარმოებაშიაც.

დიდი ცვალებადობა გამოიცადა მეაბრეშუმეობამაც ამ მღელვარების ხანაში. საერთო სურათი ოთხი წლის განმავლობაში შემდეგი იქნება:

| წლები. | რამდენი კოლოფი გამოიყვანეს. | რამდენი ფუთი პარკი მოიღეს. | ღირებულება მანეთობით. |
|---|---|---|---|
| 1904 | 65,500 | 86,500 | 1.300,000 |
| 1905 | 56,500 | 72,000 | 1.400,000 |
| 1906 | 40,000 | 75,000 | 1.300,000 |
| 1907 | 41,000 | 70,000 | [illegible] |

არა მარტო საერთო მღელვარებამ მოძრაობისა გამო და მის მიერ წარმოჩენილ შიშიანობამ, თვით სომეხთათართა შეტაკებამაც შემაფერხებლად იმოქმედა აბრეშუმისა და პარკის წარმოებაზე, რადგან ბევრი სომეხი და თათარი აღმოსავლეთიდან ჩამოსულნი ვერ ბედავდნენ საქონლის გატანას. აღსანიშნავია, რომ 1905 წ. ამხანაგობა „კოლხიდა“-ს და სხვათა მიერ გატანილ იქმნა უცხოეთში 20 ათასი ფუთი გამშრალი პარკისა, რომლის ფუთი ადგილობრივ 54 მ. უდრიდა, რაც მაშასადამე 180 ათასი მანეთის ღირებულებას წარმოადგენს. 1906 წ. გამშრალ პარკზე ფასი კიდეც დამკვიდრდა 54 მან., რადგან პარკის ექსპერტიზი სანაქებო აღმოჩნდა არა მარტო ადგილობრივი სააბრეშუმო სადგურის გამოკვლევით, არამედ თვით მილანისა და მარსელში გაკეთებული ანალიზითაც, რომელი ანალიზიც გააკეთეს „კოლხიდა“-ს ამხ. როდესაც მესაკუთრენი დარწმუნდნენ საქონლის სიკარგეში, მათ თამამათ **გაიტანეს** თავიანთი ნაწარმოები **უცხოეთში**: მილანსა და მარსელში და გაასაღეს იქ 8—10 მანეთით მეტ ფასში. სულ დასავლეთ საქართველოდან გატანილ იქმნა უცხოეთში 25.000 ფუთი გამშრალი პარკი, რომლის ღირებულება 1.300.000 მან. უდრიდა. 1907 წელს პარკის ბაზარს ესტუმრენ არა მარტო რუსეთისა, არამედ მილანის ფირმის წარმომადგენელნიც, რომელნიც შეუდგნენ მზადებას ნაყიდ პარკის საწყობებისა და საშრობების გამართვით. ფასი არაჩვეულებრივი იყო: ახალ პარკზე ფუთი 21 მან. 50 კ. და გამშრალი პარკი ფუთი 75,50 მან. სულ გაიზიდა მილანსა და მარსელში 25.000 ფუთი გამომშრალი პარკი, რომლის ღირებულება უდრიდა 1.800.000 მან. არც ერთ საწარმოო დარგში არ სჩანს ისე მკაფიოდ ორგანიზაციის უქონლობის მავნებლობა მრეწველობის განსავითარებლად, როგორც სწორედ აბრეშუმის მოყვანაში. რომ იყოს ერთი ცენტრალური მომწყობი ბიურო, რომლის საშუალებით სხვა და სხვა კუთხეების ბაზარზე ფასების გათანაბრება ხდებოდეს და რაც უფრო საჭიროა, კავშირი იმართებოდეს პირდაპირ უცხოეთის მთავარ ბაზრებთან 1) ეს დარგი მრეწველობისა გაცილებით მეტი მომგებიანი იქნებოდა მწარმოებელთათვის და 2) საქონლის ბაზრის მოპოვებაში თვით მწარმოებელი მეტ ხალისს გამოიჩენდა, ე. ი. თვითონ გაიტანდა საქონელს უცხოეთის ბაზარზე, 3) ამით თვით წარმოებაც გაცილებით მეტ და ფართო ნიადაგზე დადგებოდა, მიიღებდა მეტ დამოუკიდებელ მნიშვნელობას ჩვენ სახალხო მეურნეობაში.

დალაგებული და დაწვრილებით გვაქვს ცნობები **შავი ქვის** წარმოების შესახებ.

| წლები | დამუშავდა ფუთი | გაიტანეს ფოთით და ბათომით | რამდენით მეტი (+) ან რამდენით ნაკლები (—) დამუშავდა |
|---|---|---|---|
| 1904 | 20.256.309 | 33.215.067 | — 39,10% |
| 1905 | 20.876.487 | 21.466.494 | — 2,74% |
| 1906 | 50.170.000 | 30.895.905 | + 62,38% |
| 1907 | 40.833.000 | 33.530.547 | + 21,77% |

დასახელებული წლების წარმოება რომ შევადაროთ წინა წლისას (1903 წ.) და ერთი მეორის წარმოებას, მივიღებთ, რომ 1904 წ. დამუშავდა 11,87%-ით ნაკლები, ვიდრე 1903 წ.; 1905 წ. კი დაუმუშავებიათ 3,06%-ით მეტი ვიდრე 1904 წ.; 1906 წ. დამუშავებულის რაოდენობა გაზრდილა 43,62% და 1907 წ. უკლია 18,61%-ით.[1]

ჭიათურის მრეწველობაში მუშაობდნენ

1904 წ. 156 მრეწველი, აქედან 100 ათას ფუთამდე ამუშავებდა 83 მრეწველი (წვრილი მწარმოებელი)

| | | |
|---|---|---|
| 1905 წ. | 178 მრ. | 112 მრეწ. |
| 1906 „ | 376 „ | 221 „ |
| 1907 „ | 348 „ | 225 „ |

100—500 ათასამდი ფუთს ამუშავებდნენ (საშუალო მწარმოებელნი):

1904 წ. 70 მრეწველი; ხუთას ათას ფუთზე მეტს ამუშავებდა 3 მრეწველი.

1905 წ. 64 მრეწველი; ხუთას ათას ფუთზე მეტს ამუშავებდა 2 მრეწველი.

1906 წ. 148 მრეწველი; ხუთას ათას ფუთზე მეტს ამუშავებდა 7 მრეწველი.

1907 წ. 117 მრეწველი; ხუთას ათას ფუთზე მეტს ამუშავებდა 6 მრეწველი. სხვილი მწარმოებელნი.

აქედან ცხადია რომ მწარმოებელთა უდიდესი რიცხვი მოდის წვრილ მრეწველებზე, რომელნიც მწარმოებელთა მთელ რიცხვთან შედარებით წარმოადგენენ:

1904 წ. $53_{,21}$%. 1906 წ. $58_{,75}$%.
1905 წ. $62_{,93}$%. 1907 წ. $64_{,65}$%.

ტიტე მარგველაშვილი.

(შემდეგი იქნება)

---

[1] ერთ ერთ მიზეზათ დასახელებულია 1908 წ. „Статистика марганц. дѣла“-ში 1) ჭიათურის რკინის გზის ლიანდაგის უვარგისობა და მისი ჭიათურის წარმოებასთან შეუფერებლობა, 2) ძალზე დიდი ტარიფები, 3) შესაფერი ინფორმაციის უქონლობა მთავრობის მხრივ წარმოების საქმეებში.

# ახალი ამბავი

**ტრაპიზონი რუსეთის ჯარმა აიღო.** ამის გამო გუშინ ქ. თბილისი ბაირაღებით მოირთო.

◆ **უმაღლესი ბრძანებით** საგმირო საქმეების გამო მტრის წინააღმდეგ პოდპოლკოვნიკს ერევნის პოლკისა თ-დ ქავჟავაძეს პოლკოვნიკობა ებოძა.

◆ **„ზემო თბილისის“** წესდება სათანადო მთავრობამ უკვე დაამტკიცა. ნაადგომევს მამა დავითის მთაზე მიწების პატრონებს კრება ექნებათ ამ ნაწილის მოწესრიგებისა და გაუმჯობესების შესახებ.

◆ **წევრის პატივისცემა.** როგორც გადმოგვცეს, ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობა აპირებს პატივის ცემით აღნიშნოს განსვენებულ ნ. ვ. არღუთინსკის ხსოვნა, რომელიც ამ საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელ წევრთაგანი იყო.

◆ **საგანგებო კრება.** საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საგანგებო კრებაზე, ქუთაისში, არჩეულ იქმნენ: სარევიზიო კომისიის წევრებად გ. სვანიძე, ალ. წერეთელი და მექი კობახიძე; საზოგადოების წარმომადგენელებად ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირში—გრ. გველესიანი, დ. უზნაძე და ს. ხუნდაძე.

◆ **ქართულ გიმნაზიის** მე-8 კლასში 4 აპრილს მოწაფეთა გამოცდა დაიწყო.

◆ **ქალაქის საბჭო.** კრების გახსნამდი საბჭოს დარბაზში გადახდილ იქნა პანაშვიდი ქალაქის მოურავად ნამყოფის თავ. ნ. ვ. არღუთინსკის სულის მოსახსენებლად. კრება გაიხსნა ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც გძელი სიტყვით დახასიათა განსვენებულ ნ. ვ. არღუთინსკის მოღვაწეობა ქალაქის თვითმართველობაში, საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას და შეიწყნარა გამგეობის შემდეგი დადგენილება: 1) ვერცხლის გვირგვინით შეამკოს განსვენებულის კუბო, 2) გამოსვენებას და დაკრძალვას (პარასკევს, 8 აპრილს) დაესწრას ქალაქის გამგეობა და საბჭო, 3) ქალაქის ერთ-ერთ სასწავლებელს ეწოდოს განსვენებულის სახელი, 4) ერთ-ერთ ქუჩას აგრეთვე დაერქვას მისივე სახელი და 5) თბილისის ერთ-ერთ სასწავლებელში ქალაქის ხარჯით დაარსდეს განსვენებულის სახელწოდების 1 სტიპენდია, შემდეგ, ნიშნად მგლოვიარობისა, თავმჯდომარის წინადადებით საბჭოს კრება დაიხურა.

◆ **შუამდგომლობის განხილვა.** ქალაქის საბჭოს უმახლობელეს კრებაზე განხილულ იქნება ტრამვაის მოსამსახურეთა შუამდგომლობა, რომ ცხოვრების გაძვირების გამო ომის გათავებამდე ჯამაგირები მოუმატონ.

◆ **სახალხო კითხვა სოფლად.** 12 აპრილს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სექცია სოფელ ბეკამში სახალხო კითხვის გამართვას აპირებს ბუნდოვანი სურათებით.

◆ **ლექცია.** 20 აპრილს არტისტიულ საზოგადოების დარბაზში ბ-ნი თ. სოლოგუბი, რუსეთის ეხლანდელ სულის კვეთების შესახებ საჯარო ლექციას წაიკითხავს, რომლის წმინდა შემოსავლის ნახევარი გადაიდება საჩუქრების შესაძენად კავკასიის ჯარისკაცთათვის.

◆ **კვერცხი.** 1—5 აპრილამდე ქალაქის ვაჭრობა-მრეწველობის ზედამხედველმა ე. გ. ლომიძემ დააკავა რკინის გზის სადგურზე 194 ყუთი (194.600 ცალი) კვერცხი, რომელიც დაწესებულ ნიხრის კვალობაზე (100 ცალი 4 მან. 50 კაპ.) მიჰყიდეს დაწესებულებათ და კერძო კაცებს.

◆ **საქონლის აღწერა.** შესდგა საგანგებო სსტატისტიკო კომისია რომელშიაც მონაწილეობას იღებს მიწადმოქმედების რწმუნებული ბ-ნი შაშკოვსკი. კომისიამ შეიმუშავა გეგმა საქონლის და სათეს მინდვრის აღწერისა.

◆ **საბაზრო ფასები.** მიუხედავათ უქმე დღეების მოახლოვებისა თბილისის ბაზარი დაცარიელებულია და სანოვაგის შოვნა გაძნელებული. დაკლულ ფრინველს ვერ იშოვით. ცოცხალი ინდაური 8 მანეთი ფასობს, ბატი 5 მან., ქათამი 2 მ. 50 კ. წიწილი 1 მ. 50 კ., ბატკანი 14—15 მანათი, გოჭი 5—9 მან. და სხვა.

◆ **ქარხნის მუშების უზრუნველყოფა.** შემუშავდა განსაზღვრული ფასები, რომელნიც უნდა გადიხადონ ფაბრიკა-ქარხნების პატრონთ და სამთო-სამადნო მრეწველთ დაზიანებულ მუშების სასარგებლოდ. თბილისის, ბორჩალოს, დუშეთის, სიღნაღის და თელავის მაზრებში არსებულ ქარხნის მუშებს მიეცემათ: მამაკაცთ 17 წლისაზე უფროსი დღიურად ექვსი აბაზი, დედაკაცთ—90 კ. მამაკაცთ 15—17 წლისას 80 კ., დედაკაცთ 60 კ. მცირე წლოვანთ 12—15 წლ. ვაჟებს 60 კაპ., ქალებს 45 კაპ. ახალციხის, გორის და თიანეთის მაზრებში არსებულ ქარხნის მუშებს: მამაკაცთ 17 წლისაზე უფროსს 1 მ. 10 კ., დედაკაცთ 80 კ., მამაკაცთ 15—17 წლ. 75 კ. დედაკაცთ 55 კ., მცირე წლოვან ვაჟებს 50 კ., ქალებს 35 კ. ზაქათალის ოლქში არსებულ ქარხნის მუშებს: მამაკაცთ 17 წლისაზე უფროსთ 1 მან., დედაკაცთ 75 კ., მამაკაცთ 15—17 წლ. 70 კ. დედაკაცთ 50 კ. მცირე წლოვან ვაჟებს 40 კ. ქალებს 30 კ.

◆ **თბილისის სასულიერო სემინარიაში** მეცადინეობა უკვე დასრულდა, მოწაფეები საზაფხულოდ დაითხოვეს. სწავლა დაასრულა ცხრა მოწაფემ, მათ შორის ორი რუსია და შვიდი ქართველი. პირველი ხარისხის მოწმობა მიიღეს: ი. ჯაშმა, ს. ხადურმა, დ. კუხალეიშვილმა, ბ. აბესაძემ და ს. მაკალათიამ. (ი. ჯაში იგზავნება კაზანის სასულიერო აკადემიაში). მეორე ხარისხით მოწმობები მიიღეს: ა. ასლანიკაშვილმა და გ. კალანდარაშვილმა.

◆ **დიდი სახალხო სეირნობა.** ქალთა კრებამ, რომელიც მიწვეული იყო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის მიერ 2 აპრილს, გადასწყვიტა, რომ გამართონ დიდი სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქონებრივ სახსრის გასაძლიერებლად „ახალი კლუბი“-ს ბაღში 22 მაისს. 10% სეირნობის შემოსავლისა გადაიდება ქართველ მოღვაწეთა პანთეონის სასარგებლოდ.

◆ **სოფლის გაჭირვება.** თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო გორჯაანიდან: კახეთის საკრედიტო დაწესებულებათა რწმუნებულების კრება გთხოვს თქვენ დახმარება აღმოუჩინოთ კრების შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მეფის ნაცვლის წინაშე შესახებ ვაზის წამლის მოპოვებისა. საჭიროებამ უკიდურესობამდე მიაღწია. ჩვენი კუთხე უფსკრულის ნაპირას დგას.—კრების თავმჯდომარე ფორაქიშვილი.

◆ **რეჟისორის არჩევა.** ავლაბრის სახალხო წარმოდგენების მმართველმა წრემ თავისს რეჟისორად მიიწვია ს. ივანიძე.

### დ. ჩოხატაური.

ხუთშაბათს, მარტის 31-ს მოხდა კრება ადგილობრივ სამკითხველოს გამგეობისა, რომელმაც დაადგინა: 1) ქ. შ. წ.-კ. გ. საზ. მთავარ გამგეობას გაეგზავნოს საჭირო გადასახადი და წევრთა სია და ეთხოვოს, რათა მან ჩოხატაურში წ.-კ. საზ. განყოფილების დასაარსებლად შუამდგომლობა აღძრას. 2) მაისის 1-ლს გამართოს „თამარ მეფის საღამო“ შემდეგის პროგრამით: ა) მიხ. ხერხეულიძე წაიკითხავს მოხსენებას—„თამარ მეფის ეპოქა“; ბ) წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის „სამშობლო“-ს ბოლო მოქმედება; გ) ბოლქვაძის ხელმძღვანელობით იმღერებენ ქართულ სიმღერებს და დ) დივერტისმენტი და ცოცხალი სურათები—თამარის შესახები აკაკის ლექსებიდან.

— აღდგომის შემდეგ კვირაში მიხ. ხერხეულიძე გაჰმართავს შიო მღვიმელის საღამოს, რომელშიაც მონაწილეობას ადგილობრივ სასწავლებლის მოწაფენი მიიღებენ.

— 1-ლ აპრილს, თუთუნის (თამბაქოს) მთესველთა და მომყვანთა ყრილობამ საბოლოოდ დაადგინა: რაკი სხვა და სხვა დროს, თამბაქოს სხვა და სხვა პირისადმი მიყიდვა ჩარჩვაჭრების ბოროტ განზრახვას უფრო ფრთებს ასხამს, ამისათვის თამბაქო ერთად რომელიმე სავაჭრო დაწესებულებას უნდა მიჰყიდოს.

— ფოსტა აქ კვირაში სამჯერ მოდის, რის გამო ხშირად რაიმე საქმის ქაღალდებს, ჟურნალ-გაზეთების და საჭირო საგნების მიღება გვიანდება. ამის გამო ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლებმა პირველ აპრილს გადასწყვიტეს, ეთხოვოს ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესი განყოფილების უფროსს, რათა ჩოხატაურში ფოსტა ყოველდღე მოდიოდეს.

### შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში მოთავსებულ წერილში: „Au grand homme“ **დაბეჭდილია:** ...საზეიმო იუბილეს 15 წლის მოღვაწეობის თავზე, მერე **უკავია** აკადემიის ერთი სავარძელი და სხვ.

**უნდა იყოს:** ...საზეიმე იუბილე—15 წლის მოღვაწეობის თავზე, მერე—**უკვდავთა** აკადემიის ერთი სავარძელი და სხვ.

—

**გუშინდელ მეთაურში გოგირდის მაგიერ ყოველგან შაბიამანი უნდა ეწეროს.**

* * *

წუხელის ვნახე სიზმარი
ყორანი სისხლით თვრებოდა,
გალეშილიყო ულმერთოდ
ფეხზე ველარა დგებოდა.
დაბარბაცებდა, უბედურს
თვალებთან კინწიც სწყდებოდა,
თავს რომა გრძნობდა უძლურად,
გულზე ჯავრისგან სკდებოდა.
ფთა-სისხლიანი, შავ-ბნელი,
ლეშს რომ ველარა სწვდებოდა,
ბინძურის სულით და გულით
ჩემს სატრფოს ეტანებოდა.
— ჰა! შე ვერანო—დავძახე
საითკენ მოგაქვს ბრჭყალები,
ვწვდი ყელში გამოსაღადრად
სისხლით ამევსო თვალები...
ეჰ, ვიყავ თურმე ბურანში,
სიზმარი სიზმრად რჩებოდა,
ნეტავ რა დაშავდებოდა
ცხადლივ რომ ამსრულებოდა.

**შიო მღვიმელი.**

# საგანგებო დეპუტაცია

ქუთაისიდან თბილისს ჩამოვიდა საგანგებო დეპუტაცია, რომელშიაც შედიან ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე, გურიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. დ. ერისთავი, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარე თავ. მექ. ფალავა და ზესტაფონის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის თავმჯდომარე ბ-ნი ი. გუნცაძე. დეპუტაციას დავალებული აქვს გამოარკვიოს, ვისა და რა უფლების ძალით მიჰყიდა ფრიდონოვის სავაჭრო სახლმა შაბიამანი, რომელიც მთავრობის დახმარებით შემოზიდა მან ინგლისიდან, მხოლოდ იმ პირობით, რომ შაბიამანი უთუოდ ვენახთა პატრონებისათვის უნდა მიეყიდნა, მთავრობის მიერ დაწესებულ ფასებში და იმ ზომისა, რამდენიც ვენახის პირველ წამლობისათვის იქნებოდა საჭირო. თუ აღმოჩნდება, რომ ფრიდონოვის სავაჭრო სახლს პირობა დაურღვევია და შაბიამანს თავისი სურვილის მიხედვით არიგებს, იმ შემთხვევაში დეპუტაციამ შუამდგომლობა უნდა აღძრას მეფის ნაცვლის წინაშე, რომ ფრიდონოვს ჩამოერთვას შაბიამანი და დაწესებულ ფასებში მიეყიდოს ვენახის პატრონებს.

# ცნობები შაზიამანის შესახებ

ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ხელში ჩაუვარდა მიწადმოქმედების მინისტრის წერილი, რომლისგანაც მტკიცდება, რომ მთელი შაბიამანი ფრიდონოვის სავაჭრო სახლმა უნდა მიჰყიდოს პირდაპირ ვენახის პატრონებს. პირველად მოსულია ფირმას 50.000 ფუთი შაბიამანი ხოლო შემდეგ კიდევ უნდა მოუვიდეს (ჯერ თუ არ მოსულია) 60.000 ფუთი. იმავე თანამშრომელმა ნახა მიწადმოქმედების დეპარტამენტის დეპეშა, მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულთან გამოგზავნილი. დეპარტამენტი სთხოვს ბ-ნ რწმუნებულს, რომ მთელი შაბიამანი, რომელიც პირველად მიიღო ბ-ნმა ფრიდონოვმა, განაწილებულ იქმნას მევენახეთა შორის პირველ წამლობისათვის, რადგან მეორე წამლობისათვის შაბიამანის მეორე პარტია მოუსწრებთო. დეპეშაზე ხელი უწერია დეპარტამენტის დირექტორს ბ-ნ სლაბოდჩიკოვს.

# მოწოდება

ქ. შ. კ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ სხვათა შორის დაისახა მიზნად, როგორც ერთი აღმზრდელობითი საშუალებათაგანი გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სავანე პანთეონის მოწყობა. და ამ მიზნით შეიძინა თბილისში, ისტორიულის დიდუბის ეკლესიის გალავანში ადგილი. უნდა დაეთმოს ადგილი სამშობლო ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებულ გმირთა მარად მოსაგონებელ ძეგლს, თუნდ უბრალოს გარეგნობით, მაგრამ განძრახულობით კი დიდს. **მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ** უავგუსტოესმა კავკასიის მეფის ნაცვალმა, ამ ავტორიტეტულმა დამფასებელმა გმირთა ღვაწლისა, კეთილი ინება და დაადასტურა ძეგლის აგების აზრი.

ამ ძეგლის გარეგანს მხარეს შეიმუშავებენ ჩვენი სპეციალისტები, ხოლო სიდიდე დამოკიდებულია იმ საშუალებაზე, რომელიც შეგროვდება თანამგრძნობთა მიერ შემოწირვით.

**ამასთან სავალდებულოა აღნიშნულ იქმნას წოდება, სახელი და გვარი ყვე**ლა იმ ქართველთა, რომელთაც დასდვეს თავი რუსეთისა და სამშობლოს დიდებისათვის დღევანდელ ომის განმავლობაში.

წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობამ მიმართა ამ მოწოდებით ყველა იმ პირთ, რომელნიც თანაუგრძნობენ ზემო აღნიშნულს კეთილს მიზანს, განსაკუთრებით დაღუპულთ გმირთა ოჯახებს, გამოიღონ წვლილი ამ დიადის საქმისათვის შეძლებისამებრ.

დაღუპულ გმირთა სიის სისწორით შესადგენად საზოგადოების გამგეობა იწვევს გარდაცვლილთა მშობლებს და ნათესავებს მოაწოდონ წ. კ. გ. საზ. კანცელარიას (სასახლის ქ. № 5. თბილისში), თავიანთ შემოწირულებასთან ერთად აგრეთვე ბრძოლის ველზე მოკლულთა და ჭრილობათაგან გარდაცვლილთა სია, წოდებისა და სამსახურის ადგილის აღნიშვნით.

# პრინციპების ხალხი!

როცა გინდა არაქელ ივანიჩიო დ
როცა გინდა ივან არაქელიჩიო.

„სახალხო ფურცლის“ პუბლიცისტები ჯერ კიდევ გუშინ გვიმტკიცებდნენ, კოოპერაცია კერძო საკუთრებას ძირს უთხრისო და მისი მომავალი საკუთრების ნანგრევებზედ აშენდებაო და ამიტომ კოოპერაციას სოციალისტების საქმედ აცხადებდენ. როდესაც ბ-ნმა შემცდარ აზრად აღიარა და აღნიშნა, რომ ევროპაში წვრილ მესაკუთრეთა მდგომარეობის გამაგრებას და განვითარებას კოოპერაციამ ხელი შეუწყო, ფედერალისტ კოოპერატორებმა ერთი განგაში ასტეხეს. „სახალხო ფურცლიდან“, „მეგობრიდან“ და „ზვირთის“ ფურცლებიდან ყოველგვარ უცნაურ აზრებს გვაწვდიდენ. **გავიდა ცოტა ხანი და აი რასა ვკითხულობთ ეხლა** „სახალხო ფურცლის“ სვეტებზედ (№ 538. 29 მარტი):

ბ. ფ. მ—ძე ჟურნ. კოოპერაციაში სხვათა შორის ამავე საკითხს ეხება და ასევე აშუქებს ქართულ კოოპერაციის მომავალს. იგი სწერს: „საკოოპერაციო მოძრაობას ჩვენში უსათუოდ უნდა მიეცეს პროლეტარული ხასიათი. მისი სულის ჩამდგმელი არის მხოლოდ სოციალისტური-პროლეტარული მასსა“.

ასეთს დასკვნას ყველაზედ ნაკლებ „სახალხო ფურცელი“ უნდა გაეკვირვებინა, მაგრამ ასე არ მოხდა:

„ავტორს (ფ. მ—ძეს) ალბად არავითარი წარმოდგენა არა აქვს კოოპერაციაზე, თორემ ეცოდინებოდა, რომ სოფელში პროლეტარული კოოპერაციის დაარსება ქარის წისქვილებთან ბრძოლას უდრის. გლეხი მწარმოებელი და გლეხი მომხმარებელი.—აი ის მასსა, რომელიც მონაწილეობას იღებს სოფლის კოოპერაციაში. გლეხი კი წვრილი მესაკუთრეა და არა პროლეტარი. **წვრილ მესაკუთრე—მწარმოებელს არასოდეს არ ექნება პროლეტარული იდეოლოგია.** ასე რომ ფ. მ—ძე შეუძლებელი რამეს განხორციელებას თხოულობს. მას ჰსურს კოოპერაციაც განვითარდეს და პროლეტარული იდეოლოგიაც დარჩეს. სიზიფის შრომაა“.

შეურყეველი პრინციპების ხალხია ჩვენი ფედერალისტები!

როცა გინდა არაქელ ივანიჩიო და როცა გინდა ივან არაქელიჩიო. გუშინ ჩვენთან კამათის დროს კოოპერატორ-სოციალისტებად გამოდიოდნენ, დღეს კი სოც.-დემ. წინააღმდეგ წვრილ მესაკუთრეთა მცველ კოოპერატორებად! ძირითად ჩვენ საკითხების ორჭოფულად გაშუქება და ამგვარ ორჭოფულ პრინციპებით და მეთოდებით ქვეყნის გაბედნიერება მართლაც სიზიფის შრომაა!

**ქართველი კოოპერატორი.**

# მოსკოვის ქართველებთან

(პეტროგრ. საკუთ. კორესპონდ.)

აი სად ვიგრძენი თავი ქართველად. მოსკოვში, რუსეთის შუა გულში, ვნახე ნამდვილი, მჭიდროთ შეკავშირებული წრე ქართველთა. ჩუმად, მწყობრად მუშაობს ეს წრე და თავის გარშემო იკრეფს სამშობლოს დაშორებულ ახალგაზდობას. ყოველ შაბათს საზოგადოების დარბაზში შეგვიძლიანთ მოისმინოთ ქართული სიმღერა, დეკლამაცია, ქართული საუბარი.

აქ მოდის ყველა ქართველი და აქ იხსენებს სამშობლოს. მთელ კვირას მეცადინეობს ქართველი სტუდენტი და მოუთმენლად ელის შაბათს, როდესაც იგი უსათუოდ მიისწრაფვის, სადაც ყველასათვის ღიაა ქართულ საზოგადოების ბინა და სტუმართ მოყვარე მასპინძლები—გამგეობის წევრნი.

სიმღერა, ხუმრობა, მწველი კამათი ერთმანეთში ირევა, სიმხიარულე მეფობს ყველგან და მთელ საღამოს გრძნობ ნათელ სიჭაბუკეს. ყოველი სიტყვა საქართველოდან, ყოველი ცნობა ჩვენი ცხოვრებიდან ათას სჯა ბაას იწვევს ახალგაზდობაში. რამდენი საკითხი წყდება ისე, რომ ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ და უმნიშვნელოთ ვთვლით და აქ კი არაფერი არ იკარგება; ყველაფერს თვალ-ყურს ადევნებს ფხიზელი ახალგაზდობა.

რამდენი დაბრკოლება გადულახავთ საზოგადოების მეთაურებს, რომ ამ შესანიშნავ მიზნისთვის მიეღწიათ, მაგრამ ქართველთა მჭიდრო შეერთების უაღრესმა სურვილმა შრომის უნართან შეერთებულმა. ის ქნა რომ საქმის მეთაურებმა ფრიად რთული ორგანიზაცია მოაწყვეს, და მათის შემწეობით ყოველ დღე გაჭირვებული ქართველი ჰპოვებს დახმარებას, ადგილს დასვენებისას და სანატრ თანამემამულეთ.

— ჩვენ ამითი არ ვკმაყოფილდებითო—მეუბნებოდა ამ საზოგადოების სული და გული ექ. შან—ელი. ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია და ახლა კი ვფიქრობ, სიარულსაც დავიწყებთო.

და მეც მჯერა, რომ ისეთი ენერგიული და მომქმედნი პირნი, როგორც ბ. ზ—ელი. ბ. ხ.—ავა. ბ. ა—ილი და სხვები უმოქმედოთ ვერ იცხოვრებენ. სული ქართველური, მთლიანად დაცული, მათ ნებას არ მისცემთ თვალყური არ ადევნონ ქართულ [illegible] გამოძახილი არ იპოვოს. მათ ხომ სათავეში ისეთი მაღალი პიროვნება უდგათ, როგორც თავ. ა. ი. სუმბათაშვილია. დიდი მხატვარი—ხელოვანის გრძნობა ინტუიტივათ გრძნობს ეროვნულ მაჯის ცემას და ყოველ მის ამაყ ჟესტში მხილდება სახე ქართველისა. მაგრამ ჩვენი უბედურება იმაშია, რომ მოწყვეტილნი ვართ ამ საქართველოს ნაწილებთან, მაშინ როდესაც მჭიდრო კავშირი და ხშირი ურთიერთობა უფრო მედგრად აგვამოძრავებდა.

ის მნიშვნელოვანი გავლენა, რომელიც ზოგიერთ მოსკოველ ქართველთ აქვთ მოპოვებული რუსის საზოგადოებაში, ჩვენთვის ფრიად გამოსადეგი იქნებოდა, თუ მას ჯეროვან მიმართულებას მივცემდით და საჭირო დროს გამოვიყენებთ.

აუცილებლათ საჭიროა მოსკოვის და პეტროგრადის ქართველთა დაკავშირება ისეთი ორგანიზაციით, რომელსაც ჩვენი წარმომადგენლობითი ხასიათი ექნებოდა რუსეთის საზოგადოების წინაშე და სწორედ ახლა ეს პირნი დაუფასებელ სამსახურს გაგვიწევდნენ.

რამდენი ქართველი ვიცი პეტროგრადში, რომელთაც წარჩინებული ადგილები მოუპოვებიათ და უმაღლესი ნდობით და გავლენით არიან აღჭურვილნი, მაგრამ მდგომარეობა მათი ჩვენთვის ყოვლად გამოუსადეგარია, ვიდრე არ მოხდება მათი ერთ ორგანიზაციაში შეერთება და კოლექტიურად, ერთსულოვნად არ იმოქმედებენ. პეტროგრადი ხომ ცენტრია ბიუროკრატიული რუსეთის და იქ კეთდება პოლიტიკა.

მოსკოვი სულია რუსეთის ინტელიგენციის. ცენტრი ვაჭრობა-მრეწველობის და ამ ორ ქალაქს უნდა მივაპყრათ დღეს მთელი ყურადღება. სრულებით ჩვენ არ გვიცნობენ და ჩვენი საჭიროებანი მათთვის უცხოა.

ორივე ქალაქის ქართველთა ამ კავშირმა უნდა ენერგიულად დაიწყოს მოქმედება და თუ მათმა წევრებმა მოისურვეს ბევრს სასარგებლო საქმეს მოაწესრიგებენ. ერთი კაცისაგანაც დროზედ თავის ადგილას თქმული საჭირო სიტყვა ბევრს ნიშნავს და თუ შეერთებული გამოვლენ ისინი, დიდ ძალას მოიპოვებენ. ის აღფრთოვანებული და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარ[illegible] გული, რომლის ნახვის ბედნიერება მეღირსა მოსკოვში, ულრმესად მაიმედებს რომ ეს დიდი საქმე ადვილი ასასრულებელია და მოსკოველნი პირველნი იდებენ თავს ამ მუშაობას.

მათი ხალასი სიჭაბუკე ამის საუკეთესო თავდებია.

**ლ. ჯაფარიძე**

# მძიმე ზარბაზნები და ქვეითა ჯარი

მძიმე ზარბაზნების დიდი მნიშვნელობა საკმაოდ ნათელჰყო ახლანდელმა ომმა.

L'indénendence Boumaine“ ამის თაობაზე სწერს: კრუპის ქარხნის დირექტორთაგანმა პროფესორმა რაუზენბერგმა, რომელსაც 420 მილიმეტრიანი მორტირები გამოიგონა, ამ გაზეთის თანამშრომელს განუცხადა: გერმანელების გამარჯვება უმთავრესად მძიმე ზარბაზნებს უნდა მიეწეროს, რადგანაც ამ მხრით მოპირდაპირეებს სჯაბნისო. რაუზენბერგის აზრით მსუბუქი ზარბაზნები თან და თან მნიშვნელობას ჰკარგავენ და მერმისი უდიდეს ზარბაზნებს ეკუთვნითო. გერმანელები ყველაზე მეტს სასროლ მასალას ამზადებენ და საუკეთესო ხარისხისაც. ზარბაზნებსა და ყუმბარებს ინგლისიც ბლომად ამზადებს. თუმცა რუსებმაც ხელი მიჰყვეს ამ მხრივ მუშაობას, მაგრამ თავისი საკუთარი ნაწარმოებით იოლად ვერ წავლენ და იაპონია-ამერიკის დახმარება ესაჭიროებაო. საფრანგეთმაც დიდად გააძლიერა და გაამრავლა მძიმე ზარბაზნები ავსტრიის ზარბაზნების მაგვარი. მათი ზარბაზნები ვერდენთან უკვე რამდენჯერმე ახმაურდა.

დღევანდელმა ომმა ნათელჰყო, რომ ზარბაზნები და ქვეითა ჯარი ურთმანეთოდ ვერას გააწყობენ და ერთი მეორის დამხმარენი არიან, ორივეს დიდი მნიშვნელობა აქვს. უმთავრეს ბრძოლას ეს ორი სამარი ძალა აწარმოებს, მფრინავები კი მათ გზის მაჩვენებლობას უწევენო.

# სოფლად

(გაგრძელება)

### 7. მოახალშენეთა ზნე-ჩვეულებანი.

ავსტრო-გერმანელების მოახალშენენი მეტად მშვიდი, წყნარი ხალხია, მასთანვე მუშაობის მოყვარულნი. დილით ხოლო [illegible] შეუძლიან—ქალი და კაცი, სამუშაოთ არის გასული.

ორშაბათიდან-შაბათამდის შეუჩერებლივ მუშაობენ ერთად, მწყობრად. დილით ადრე ერთად იყრიან თავსა და სახნავად გადიან, ან თუ სათიბია, ან დასაბარი,—ყველანი ერთად—მწყობრად მუშაობენ.

სამუშაოს დინჯად აკეთებენ, სიმღერა იშვიათია, ხან და ხან იმღერიან—ისიც საეკლესიო საგალობელს, სამუშაო სიმღერები მათ არ იციან.

თუ არ ისეთი რამ მიზეზით—სამუშაოს ვერავინ დააკლდება და, თუ უმიზეზოთ სამუშაოთ არ გამოვიდა, მათი მამასახლისი (შულცი) ჯარიმას ახდევინებს.

შაბათს შუადღის შემდეგ სახლში დარჩენილი ბავშვები ცოცხით გამოდიან და ყველანი თავის ეზოს და ქუჩის პირს ჰგვიან. სახლში დარჩენილი დედაკაცები ოთახების და აივნების იატაკებს რეცხვენ, ფანჯრებს ასუფთავებენ და მთელ სახლს აკრიალებენ.

ასე ამ რიგად ყოველ კვირას ეგებებიან, ეს დღე მათთვის დიდი დღეა და საზოგადოდ დღესასწაული დღეები მათ დიდათ მიაჩნიათ.

ამ დღეებში მათგან არვის შეუძლიან მუშაობა, ან ცხენების და ხარების შებმა,—თუ არ უაღრეს შემთხვევაში, ან თუ ავადმყოფმა დაისაჭიროვა ექიმის მოყვანა, მაშინ მხოლოდ შულცის ნება დართულ, როდესაც ეს დარწმუნდება, სამუშაო საქონელს აბამს და მოჰყავს ექიმი. ვინც კვირაუქმეს გასტეხავს, ისჯება და ჯარიმას იხდის საერთო კასისთვის.

კვირას კი ყველანი საუცხოვოთ მორთულნი ეკლესიაში ხელში სახარებით მიეჩქარებიან. აუცილებლივ დიდიდან-პატარამდის უნდა დაესწრონ წირვას. წირვის შემდეგ უმფროსები ერთად იყრებიან ყმაწვილები ერთად,—ერთმანეთს თავიანთ აზრებს უზიარებენ. საღამოთი ნათესავებში შეიყრიან თავს, მხიარულობენ, მღერიან, თან ცეკვავენ.

შემთხვევით ბზობა დღეს მათ ეკლესიაში „კირკაში“ შევიარე, მორთული იყო შესავალი კარები მცენარე ფოთლებით. აუარებელი მლოცველი იყო, სხვათა შორის შევნიშნე ქალიშვილები თეთრი სამოსელით და ვაჟები შავ ტანისამოსში გამოწყობილნი წმინდა საიდუმლოს იღებდნენ.

ერთმა ნაცნობმა გარუსებულმა გერმანელმა ამიხსნა: „ჩვენი ბავშვები

თხუთმეტ წლამდის არ ეზიარებიან, თხუთმეტი წლისა რომ შეიქნებიან, სამი თვე პასტორთან უნდა იარონ და მასთან სწავლობენ მთელ დაბადებას, სახარებას და ლოცვებს. წმინდა საიდუმლოს მიღებას წინა დღეებში ეკლესიაში საჯაროდ გამოსცდიან მაზიარებელთ და მხოლოთ ამის შემდეგ მიიღებენ წმინდა საიდუმლოს.

ქალიშვილები უსათუოთ თეთრ ტანისამოსში უნდა იყვნენ გამოწყობილნი, ვაჟები შავ სერთუკში და მასწავლებლები კი თავიანთ ფორმის ტანისამოსში.

ბზობა დღე გერმანელების ორნაირი დღესასწაული იყო, ერთი როგორც ბზობა დღე—და მეორე ისა,—რომ ამ დღეს თხუთმეტი წლის ქალი და ვაჟი პირველად წმინდა საიდუმლოს იზიარებდნენ.

რაკი სარწმუნოებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, მინდა შევნიშნო, რომ ავსტრო-გერმანელთა მოახალშენენი სარწმუნოების მეტად მიმდევარნი არიან, წმინდათ სასოებით იზიარებენ თავიანთ სჯულს.

მათი დიდი დღე შობა დღეა, აღდგომაზედ უფრო დიდ დღეთ მიაჩნიათ. ამ დღეს ეკლესიაში შობის ხე უდგათ ცარიელი, ზიზილ-პიპილები კი არ ჰკიდია, სანთლით გაჩაღებულია. ამ დღეს ყველანი ესწრებიან. ამ დღეს ოჯახებში ყველას შობის ხე აქვს გამართული.

——

მათ ბაღ-ვენახებს და ბოსტნებს საერთო ღობე აქვს შემოვლებული, მხოლოთ შიგა და შიგ რუებით არის დაყოფილი, ან ოდნავ თხელი ღობე აქვს გავლებული.

თუ მიჯნასთან ხეხილია ჩარგული და ტოტები მეზობლის ბაღშია გადასული და ნაყოფი ჩამოვარდნილა, მეზობელი გავლის დროს შენიშნავს ჩამოვარდნილს ნაყოფს, აუცილებლივ აკრეფს და პატრონის ბაღში გადაჰყრის.

ჩვენში კი ძირიან-ფესვიანად ჰგლეჯენ ხეხილს, იპარვენ!

მოახალშენეებმა არ იციან, რა არის ქურდობა და თუ მათგანი ვინმე გამოვიდა მახინჯი არსებისა, ჯერ დაარიგებენ რამდენჯერმე, დასჯიან, დააჯარიმებენ და, თუ არ გასწორდება, მაშინ საზოგადოებიდან გააძევებენ.

მათში ყოვლად შეუძლებელია ქურდობა!

მათში მათხოვრობასაც ადგილი არა [illegible] ვიდა ერთი გერმანელი სამი შვილით და მიხეილის პროსპექტზედ მათხოვრობდა, როდესაც გაუგეს აქაურმა გერმანელებმა, მაშინვე შვილები სასწავლებლებში დააბინავეს და მას სამუშაოც გაუჩინეს.

გერმანელები მათხოვრობას არ იგუებენ. თუ რომ მათი წევრი, ან ოჯახი რაიმე მიზეზის გამო დაზარალდა, ცეცხლით, ან ჭირით საქონელი დაეხოცა, ან ოჯახი დაუზარალდა, მაშინვე საერთო კასიდან აუნაზღაურებენ და მის მეურნეობას ისევ იმ დონეზე დააყენებენ, როგორც ჰქონდა; აგრეთვე კერძოდ აგროვებენ დაზარალებულ ოჯახისთვის ფულს, ნივთებს, სამეურნეო იარაღს.

და შემდეგ ნელნელა, რომელიც მიეცა შემწეობა საერთო კასიდან, უნდა გადიხადოს შეუმჩნევლად.

ესაა მიზეზი, რომ მათში ვერა ვხედავთ ღარიბ ოჯახებს,

ჩაცმა-დახურვას, ჭამა-სმას დიდ ყურადღებას აქცევენ, ვინაიდგან მათგან არს დამოკიდებული ადამიანის ჯანი და სიმართლე. ესა აქვთ მათ შეგნებული და აუცილებლივ უკლებლად ბოსტნეულობას: კართოფილს, კომბოსტოს, ჭარხალს და პომიდორს ბლომად ინახვენ; ამასთანავე ყველს და ერბოს არ იკლებენ, ხორცს ხშირად ხმარობენ. ყავას არ იკლებენ, ჩაი მუდამ აქვთ, სასმელს არ ეტანებიან, ვინც სიმთვრალეს მიეჩვევა და ვერ მოაშლევინებენ, მას საზოგადოებიდან გააძევებენ.

ერთი სიტყვით ახალშენელებმა პირის პატივი კარგათ იციან, მეტსა სჭამენ—მეტსაც მუშაობენ!

რაც უნდა მოუსავლიანი წელიწადი იყოს, მათი ახალშენები არ დაიმშევა, ჯერ ერთი—სხვაგან რომ მოსავალი არ მოვიდეს, მათ ისე აქვთ დამუშავებული სახნავი მიწები, რომ იმდენი მაინც მოვა, სარჩოთ ეყოთ. და მეორე ისაა, რომ ყველა ახალშენში საკვები ბეღლები აქვთ გამართული, სადაც ყოველ შემთხვევისათვის გადადებული აქვთ ჭირნახული.

ამას გარდა ყოველ ახალშენში საერთო კასები არსებობენ და მათ შემოსავალს შეადგენენ: საერთო მამულის შემოსავალი, ჯარიმები და საწევრო გადასახადი.

ეს კასები ეხმარებიან ყოველ მოახალშენეთა საერთო საქმეს. ეს კასები აბარიათ ამორჩეულ პირებს. შულცი განაგებს მათ საქმეებს.

ამ კასებიდან უსწორდებიან: სუდის მოხელეებს, მასწავლებლებს, პასტორებს და გადასახადებს.

ამ კასებიდან ყველა წევრს ნება აქვს ხელი გაიმართოს და ეს კასები დაზარალებულ ოჯახებს ხელს უწყობენ.

სანიმუშოდ მოვიყვან ალექსანდერსდორფის კასის შემოსავალ-გასავალს: მათ შემოსავალს შეადგენს—ქალაქის მიდამოებში სათიბების და საძოვრების შემოსავალი და სხვ. უდრის 12,000 მანეთს მეტსა.—მისი გასავალი—შულცის, რომელიც ეხლა მთავრობის მამასახლისია, თვეში—50 მან. აქვს და დღე-ღამის ხარჯიც დანიშნული აქვს ამათგან—15 მან., მწერალს—50 მან., კანცელარიის ხარჯია—120 მან., მინდვრის 2 ყარაულს აქვს—600 მან., ოთხ მცველს თვეში თითოს—20 მან. აქვს დანიშნული, ერთს მასწავლებელს (ქართველია)—60 მან. თვეში ეძლევა, მეორე მასწავლებელს კი )გერმანელია) 37 მ. 50 კ., პასტორს იმის გარდა, რაც მთავრობიდან აქვს დანიშნული, ესენიც აძლევენ ერთხანობით—75 მ.

მარტო მოხელეების, პასტორის და მასწავლებლების ჯამაგირი შეადგენს—4125 მან. იმას გარდა, რომელიც დროებით მთავრობის მამასახლისს დღე-ღამეში ხარჯად აქვს დანიშნული ზემოდ მოყვანილი 15 მან.

ყველა სოფლის მოხელე რიგზედ და წესიერად ასრულებს საქმესა.

ჰაი ჰაი, რომ კარგად შეასრულებენ! იქ სადაც ნამუშავარი უფასდება ადამიანს, ყველა სინიდისიერად ირჯება.

თუ იმას ვიტყვით, რომ ჩვენს სოფლებს **არა აქვთ** საზოგადო თანხა და საერთო შემოსავალი, რომ რიგზედ და წესიერად მიმდინარეობდეს სასოფლო საქმეები, მაგალითისთვის რა შორს წავიდეთ? აი, საგარეჯო,—8,000 მანეთი შემოსავალი აქვს, დღემდის ამის ნახევარიც კი, რომელიც სოფელს უჩვენებდნენ, უწესრიგოდ იხარჯებოდა. და თუ საგარეჯოს 8000 მან. რიგიანი ხელმძღვანელები ეყოლება, 12,000 მანეთს შემოსავალს მიაღწევს.

მაგრამ ჩვენს სოფელს ამის შნო ვინ მისცა?

„ფუ, იმ მოედანს, სადაცა
[illegible] რომელსაც
უღირსნი მეთაურობენ!

—

მაშინ აღარ ღირს სიცოცხლე
სიკვდილი სანატრელია,
მაგრამ უნებრად მისაო
ვაი, რომ ესეც ძნელია“.

მართალს ამბობს ჩვენი მხცოვანი აკაკი.

ვიდრე ჩვენი სოფელი არ შეიგნებს სოფლის ცხოვრებას, მანამდის ღირსეული ხელმძღვანელნი არ ეყოლებათ.

Legatus.

# ქართ. კულტურის მოყვ. საზოგადოება

შაბათს, 2 აპრილს, ექიმთა საზ-ების დარბაზში კნ. ბეგთაბეგიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა მეორე წლიური კრება საზოგადოებისა. კრებამ დაასრულა წლიური ანგარიშის განხილვა, რომელიც დაიწყო წინა სხდომაზე, 27 მარტს. კრებამ ერთხმად დაამტკიცა წარსული წლების ანგარიში და მცირე განმარტებით დაადასტურა მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი.—ანგარიში ეხებოდა წარსულ წლების $19^{12}/_{13}$, $19^{13}/_{14}$ და $19^{14}/_{15}$ მოქმედებას და აღნუსხავდა მის მოკლე ისტორიას დღიდან დაარსებისა—30 ღვინობისთვ. 1912 წ.—30 ოკტ. 1915 წლამდის.

ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებას და მის გამგეობას ჰქონია სხვა და სხვა ტიპის კრება—86, რომელსაც დასწრებია 5467 სული. კრებებზე წაკითხული ყოფილა 36 მოხსენება და ორიგინალური ნაწარმოები;—საუბარში მონაწილეობა მიუღია 156 პირს. წევრთა რიცხვი ყოფილა—216. საზოგადოებას ჰქონია შემოსავალი: $19^{12}/_{13}$ წ—786 მან. 98კ. $19^{13}/_{14}$—326 მან. 64 კაპ.; $19^{14}/_{15}$—1770 მან. 35 კაპ. გასავალი ამდენივე. 30 ღვინობისთვე 1915 წელს საზოგადოების სალაროში დარჩენილა 719 მან. 16 კაპ.

საზოგადოებასთან ნაყოფიერად მუშაობდა ორი კომისია: საშინაო და სააგარაკო. პირველმა მოაწყო საზოზოგადოების კანცელიარია, ხოლო მეორე ზრუნავს ქართველ მოღვაწეთა აგარაკის აგებაზე მიუხედავად იმისა, რომ სააგარაკო კომისიამ გაწესრიგებული მუშაობა დაიწყო მხოლოდ 1915 წლის ენკენისთვეში, ღვინობისთვის 30-ს 1915 წ. მას უკვე 415 მან. და 44 კაპ. ჰქონდა ბანკში შეტანილი; ხოლო 1916 წლის მარტის 20-ს კომისიის თანხა უკვე 2215 მან. 67 კაპეიკამდე გაიზარდა.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა გარდაცვალებულ წევრთა ხსოვნას და დაადგინა მადლობა გამოეცხადოს თბილისის თავად-აზნაურობას და დეპუტატთა საკრებულოს უხვი შემოწირულებისთვის და დარბაზის უფასოდ დათმობისთვის; აგრეთვე კავკას. [illegible] როფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭოებს, რედაქციებს: „საქართველოს“, „განათლებას“, და „თეატრსა და ცხოვრებას“ სხვა და სხვა გვარი შემწეობისთვის.

დასასრულ კრებამ მადლობა მოახსენა საზოგადოების გამგეობას მუყაითი და ენერგიული მუშაობისთვის.

რადგანაც ანგარიშის განხილვა გაგრძელდა ღამის 11 საათამდის, განზრახული საუბარი შემდეგისთვის გადაიდო.

# ეკონომიური ცხოვრება

### სოფ. ერთაწმინდის წვრილ კრედიტის ამხანაგობა.

ცამეტ იანვარს მოხდა ამ ბანკის წლიური კრება, რომელსაც დაესწრო წვრილ კრედიტის ინსპექტორი ბ. გრიგოლია. კრება გახსნა გამგეობის წევრმა ვ. ჟამუტაშვილმა. დაესწრო 80 წევრი. კრების თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული ბ. გრიგოლია.

1915 წლის განმავლობაში ამხანაგობას ჰყოლია 288 წევრი 19,510 მან. ნდობით.

სახელმწიფო ბანკიდან ნასესხები აქვს ძირითად თანხად 2.000 მ. მოკლე ვადიანი 5.000 მ.

1915 წ. შემოსავლის პასივი ასეთია:

| | | |
|---|---|---|
| ძირითადი საკუთარი თანხა | 60 მ. | კ. |
| სათადარიგო . . | 40 „ | 37 „ |
| განსაკუთრებული დანიშნ. | 27 „ | 30 „ |
| მობარებული . . | 1716 „ | — „ |
| ნასესხი . . . | 500 „ | — „ |
| სესხზე % . . . | 918 „ | 65 „ |
| სხვა და სხვა (საანგარიშო წიგნაკები) . . | 9 „ | 62 „ |
| აქტივი: სესხი შემოსული | 12511 „ | — „ |
| შემოსული და გადარიცხული თანხებისაგან დაფარული მოგ. წლის ბოლოს . . . | 674 „ | 39 „ |
| სულ. . | 20957 „ | 33 „ |
| კასაში ყოფილა ნაღდი . | 1922 „ | 77 „ |
| ჯამი . . | 22880 „ | 10 „ |

გასავლის პასივი 1915 წ.

| | | |
|---|---|---|
| მობარებული გაუტანიათ | 683 „ | — „ |
| გადაუხდიათ ნასესხი . | 6400 „ | — „ |
| % და მოგება (მიეცა მითვლ. წარს. წლის მოსაგებიდან . . | 802 „ | 06 „ |
| აქტივი: | | |
| თანხა შენახული საკრედიტო ამხ. დაწესებულ. | 200 „ | — „ |
| გაუსესხებია . . | 13916 „ | 60 „ |
| საქმის მწარმოებელს, მსახურს, მისვლა-მოსვლა, დავთრები და სხვა და სხვა წვრ. ხარჯები. | 176 „ | 01 „ |
| ვადაზე ადრე შემომტანს სესხზე დაუბრუნდა % | 38 „ | — „ |
| შესანახად მობარებულ ფულზედ და სახელმწიფო ბანკს ნასესხზე მიეცა პროც. . . | 460 „ | 38 „ |
| სულ. . | 22676 „ | 05 „ |
| კასაში იყო . . | 204 „ | 05 „ |
| ჯამი . . | 22880 „ | 10 „ |

წლიური ანგარიში კრებამ დაამტკიცა და წმინდა მოგება 253 მ. 88 კ. გაანაწილეს ასე:

| | | |
|---|---|---|
| საკუთარ ძირითად თანხად | 101 მ. | — კ. |
| სათადარიგო თანხად . | 59 „ | 67 „ |
| ადგილობრივ წიგნთ-საცავ სამკითხველოს . . | 15 „ | — „ |

დანარჩენი 78 მან. 67 კ. მიემატოს თანხას განსაკუთრებულ საშუამავლო წარმოებისთვის.

გასავალი ამა 1916 წ. დაამტკიცეს შემდეგ რიგათ:

| | |
|---|---|
| გამგეობის ორ წევრს თითოს თვეში. . . . . | 4 მ. |
| საქმის მწარმოებელს თვეში . | 10 მ. |
| სხვა და სხვა ხარჯებისთვის . | 60 მ. |
| ბინის შესაკეთებლათ . . | 40 მ. |

კრებამ ერთხმად ძველი გამგეობის წევრები დასტოვა, ე. ი. რაჟდენ ჯავრაშვილი (თავმჯდომარე), დიმიტრი კარგარეთელი (ხაზინადარი), ვ. ჟამუტაშვილი (საქმის მწარმოებელი). საბჭოს თავმჯდომარეთ ისევ ია კარგარეთელი ამოირჩიეს.

მიხედვით იმისა რომ მცხოვრებნი განიცდიან შიმშილს, დაადგინეს დაევალოს გამგეობას იზრუნოს ჭინახულის შეძენა. აღიძრას შუამდგომლობა სახელმწიფო ბანკის წინაშე კრედიტის მომატებისა 12000 მან-მდე. დასასრულ კრებამ დიდი მადლობა გადაუხადა ბ. ინსპექტორს ა. ვ. გრიგოლიას, კეთილი მზრუნველობისთვის. აგრეთვე კრებამ დაავალა გამგეობას გადასცენ მადლობა ბ.ბ. საპატიო მზრუნველს პ. ა. გოთუას და საბჭოს თავმჯდომარეს ია კარგარეთელს.

ვანო ჟამუტაშვილი.

# დაბა-სოფლები

**ქ. თელავი.** მოახლოვდა თუ არა აღდგომა, გაჩნდნენ თელავსა და მის ახლო-მახლო სოფლებში თბილისელი ცილინდროსიანი ჩარჩები. კვერცხი აქამდე სამი ორ შაურად იყიდებოდა, ეხლა თითო ექვსი კაპეიკია. დადიან უბან-უბან, ჩუმათ ყიდულობენ დიდძალ კვერცხს, ერთი კიდეც დაიჭირა მაზრის მეთვალყურემ და პოლიციას გადასცა, მაგრამ ამ ერთით რა იქნება, როდესაც უთვალავნი არიან.

ინდოური 8 მანეთი ფასობს ქათამი 2 მან. 50 კ.—3 მანეთამდე. ორ შაურიანი ჩითი ოთხ აბაზათ იყიდება.

საერთოდ საშინელი სიძვირეა აქეთაც.

შუამთელი.

—

**სოფ. ერთაწმინდა** (გორის მაზრა). რომ იტყვიან: „საწყალს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“, სწორეთ ასე დაემართა სოფ. ერთაწმინდელებსაც. ჯერ იყო და მუშის ხელის ნაკლებულობამ გაუჭირათ საქმე და წარსულ წელს ნაკლებად შეიმუშავეს მიწები. მოსავალმაც ხელი არ მისცა, პური სრულებით არ მოვიდა, სიმინდის მოსავალს თუმცა არა უშავდა რა, მაგრამ ნაკლებად იყო მოხნული. იანვრის ბოლო რიცხვებში ბევრს აღარ ჰქონდა სიმინდი და [illegible] ექნება ამას ზედ დაერთო საქონლის ჭირი, ბევრს მოუვიდა ზარალი, როგორც მაგ. მიხეილ ჭრელისძე მიკრიაულს (მთიულია) დაეხოცა შვიდი უღელი მომუშავე ხარი და შვიდი მეწველი ძროხა. ვანო თაიხაშვილს—უღელი კამეჩი, ღირებული ორმოცი თუმანი, და ერთი ხარი—8 თუმანი. დარჩნენ, სრულებით უსაქონლონი არიან. ბევრი სთხოვეს ბეითალს დ სხვებს, გვიშველეთ რამეო, იქნებ ხაზინამ რაიმე დახმარება გაგვიწიოსო, მაგრამ უპასუხებდნენ; აცრილი საქონელი თუ მოკვდა იმის პატრონს მიეცემა დახმარებაო. თუმცა ბეითალმა თავისი თვალით ნახა ჭირიანი საქონელი და ჩაიწერა, კიდეც.

კოტე ჯავახიშვილსაც რამდენიმე სული საქონელი დაეხოცა, ბევრს სხვა ოჯახსაც მოაკლდა უკანასკნელი მარჩენელი საქონელი. ამასთანავე სოფელი შეჰკრეს, აღარავის არსად უშვებენ საქონლით, ოთხივ კუთხივ სოფელს ყარაულები დაუყენეს. საქონელს ბოსლებიდგანაც აღარ უშვებენ.

აქაურს მცხოვრებლებს იჯარით ჰქონდათ აღებული მახლობელი ტყე საიდგანაც ეზიდებოდნენ შეშა-ფიჩხს და თითო ოროლა გროში რჩებოდათ. აღარც იქ უშვებენ და იჯარის ვადა კი უთავდებათ.

არიან ერთ უბედურობაში. არსაიდგან არავითარი შემოსავალი და სოფლის ხარჯებს რითი გასცენ პასუხი არ იციან. დაუკრეფიათ საწყლებს გულზედ ხელები და კარზე მომდგარ შიმშილის მოლოდინში ერთმანეთს შესჩივიან თავიანთ უბედურობას და მხოლოდ ერთი ნუგეშიღა დარჩენიათ აქ არსებულ საკრედიტო ამხანაგობის ბანკისა.

აქ არსებობს ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების მიერ დაარსებული წიგნთ საცავ სამკითხველო. გამგეთაა—ო. პ. ჟამუტაშვილისა. მოთავსებულია ბ. ლ. ჯავრაშვილის სახლში, რომელიც დათმობილია ხუთის წლით უფასოთ. წარსულ წელს სამკითხველოს, თავის საფასურით, მოსდიოდა „სასოფლო გაზეთი“ და „სახალხო ფურცელი“.1915 წლის განმავლობაში სამკითხველოს წიგნებით უსარგებლია ადგილობრივ მცხოვრებს 385 პირს (ამათში მცირე წლოვანია 238) მთის ხალხს 242 პირს სულ=627 პირსა. სამკითხველო დიდ გაჭირვებას განიცდის მატერიალურის მხრივ. შენობა შესაკეთებელია. სახურავი ბევრს ადგილას არის გაფუჭებული. ჭერი გატეხილია და ცუდი ამინდის დროს წვეთი ჩამოდის. ამიტომაცაა რომ შიგ ნესტის სუნი ძალიან არის. საჭიროა ვისიმე კეთილი პირის დახმარება. რომ ცოტა მაინც შეკეთდეს, პატრონი კიდევ რამდენიმე წელს დაუთმობს უქიროდ. ამ წელს სამკითხველოს მოსდის „სასოფლო გაზეთი“ და „საქართველო“.

ვ. ჟ.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

### გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის (პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur
des Kriegsgefangenenlagers

აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.

Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.

აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.

Deutschland.

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(ტფილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 | სალ. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 | სალ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 | სალ. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 | სალ. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ | 23 „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ | 43 „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ | 42 „ | „ |
| იორიდან . . . | 11 „ | 35 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 12 „ | 17 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 15 | დღის |
| მელაანიდან . . . | 2 „ | 37 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 08 „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . . | 4 „ | 58 „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ | 35 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ | 18 „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ | 50 „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ | 15 „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ | 45 „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ | 46 „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ | 02 „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ | 13 „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ | 15 „ | „ |
| იორიდან . . . | 2 „ | 53 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ | 31 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ | 46 „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ | 01 „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. | 16 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . | 9 „ | 46 „ | „ |
| გურჯაანში მოდის | 10 „ | 16 „ | „ |

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი, გოლოვინის პროსპექტი 22. ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტფილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსავლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთნა. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში დ ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეზველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „„მუშაჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამაჟვის შესახვევი № 4.